შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№14 (9.679)

2 – 9 მაისი 2015 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა შესრულდა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების პირველი კვარტლის გეგმა 98,1%-ით შესრულდა. დაგეგმილი იყო 598.1 ათასი ლარი, ფაქტიურად შესრულდა 586,9 ათასი ლარი.

პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში დედოფლისწყაროს საკრებულოს სხდომაზე მოისმინეს. მოხსენება გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსმა ელენე ბაიაშვილმა გააკეთა.

მათ შორის, გადასახადების გეგმა შესრულებულია 93,4%. მიწაზე ქონების გადასახადი შესრულებულია. მიწაზე ქონების გადასახადის გეგმა შესრულებულია 100.2%-ით, შემოსავლები ჯარიმიდან და საურავებიდან, დაგეგმილი 25.000 ლარის ნაცვლად შემოსულია 25,4 ათასი ლარი. ასევე, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი ნაცვლად გეგმიური 10 000 ლარისა, შემოსულია 11 400 ლარი.

დეპუტატებმა პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში დამაკმაყოფილებლად შეაფასეს.

საკადრო ცვლილებები საქართველოს მთავრობაში

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 1 მაისს, სპორტისა და ახალგაზრდობისა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის ახალი მინისტრების გარდა, საზოგადოებას თავდაცვის სამინისტროს ახალი ხელმძღვანელიც წარუდგინა. გიგლა აგულაშვილი გარემოს დაცვის, ტარიელ ხეჩიკაშვილი სპორტის, ხოლო თინა ხიდაშელი თავდაცვის მინისტრებად - მთავრობის ხელმძღვანელმა კოალიციასთან კონსულტაციების შედეგად სწორედ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო. პრეზიდენტისა და პარლამენტის მიმართ ღარიბაშვილის მოწოდების მიუხედავად, რაც შეიძლება მოკლე ვადაში გამოუცხადონ ნდობა განახლებულ მთავრობას, პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა წარმოდგენილ სიას ხელი არ მოაწერა და მთავრობას და პარლამენტს დამატებითი კონსულტაციებისათვის ერთკვირიანი ვადა მისცა.

ორის ნაცვლად სამი ახალი მინისტრი: გიგლა აგულაშვილი გარემოს დაცვაში, ტარიელ ხეჩიკაშვილი სპორტში - ამ ორ მოსალოდნელ სიახლეს პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა თავდაცვის მინისტრის პოსტზე თინა ხიდაშელის კანდიდატურაც დაუმატა. თქვა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები მთავრობის ეფექტურობის გაზრდას ემსახურება და პრეზიდენტსა და პარლამენტს მოუწოდა, რაც შეიძლება დაჩქარდეს მთავრობის ახალი გუნდისათვის ნდობის გამოცხადების პროცედურა.

ღარიბაშვილმა თავდაცვის ყოფილ მინისტრს, მინდია ჯანელიძეს, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივნის პოსტზე დაბრუნება შესთავაზა, ამ თანამდებობაზე ამჟამად მყოფი დავით სუჯაშვილი კი, პრემიერის განცხადებით, დაზვერვის სამსახურის უფროსად დაბრუნდება.

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებას 1 მაისს ერთ საათშივე გამოეხმაურა საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ ის წარმოდგენილ სიას ხელს კიდევ ერთი კვირა არ მოაწერს. ამის მიზეზად მარგველაშვილმა, მისი აზრით, მთავრობაში შექმნილი ფორსმაჟორული ვითარება დაასახელა:

„მე, როგორც ქვეყნის მთავარსარდალმა, მინდა ვიკითხო, რა სიხშირით უნდა ვცვლიდეთ თავდაცვის მინისტრებს? ამ რთული ვითარების ფონზე მე მინდა შესაძლებლობა მივცე როგორც პრემიერს, ისე პარლამენტს, უფრო მშვიდ გარემოში განახორციელონ კონსულტაციები და ისე ჩამოყალიბდნენ მთავრობის შემადგენლობაზე. ვიყენებ კონსტიტუციით ჩემთვის მონიჭებულ ერთადერთ შესაძლებლობას და ერთი კვირით გადავდებ მთავრობის სიაზე ხელმოწერას“.

პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ მარგველაშვილს მსგავსი გადაწყვეტილების მიღების კონსტიტუციური უფლება აქვს და რომ პარლამენტმა ამ გადაწყვეტილებას პატივი უნდა სცეს.

რაც შეეხება წარმოდგენილ კანდიდატურებს, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს, პროფესიით იურისტ გიგლა აგულაშვილს გარემოსდაცვით ორგანიზაციებთან მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს და გარემოს დაცვის მინისტრის პოსტზეც მისი მუშაობა ეფექტური იქნება. პრემიერი იმედოვნებს, რომ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრობას გაამართლებს საავტომობილო ჰოლდინგ „იბერია ბიზნეს ჯგუფის“ პრეზიდენტი და ქართული სპორტის ქომაგი ტარიელ ხეჩიკაშვილიც. რაც შეეხება თავდაცვის მინისტრის პოსტზე პირველი ქალი მინისტრის დანიშვნას, თინა ხიდაშელს, ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, ყველა იცნობს - ის იქნება ევროპაში მეხუთე და საქართველოში კი პირველი ქალი თავდაცვის მინისტრი.

მედიასთან მოკლე კომენტარებით შემოიფარგლნენ მინისტრობის „რესპუბლიკელი“ კანდიდატები თინა ხიდაშელი და გიგლა აგულაშვილი. პირველმა საქართველოს ევროატლანტიკური კურსის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება, აგულაშვილმა კი თქვა, ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობის გამო სასურველი იქნებოდა განახლებული მთავრობა უფრო სწრაფად შესდგომოდა მოვალეობის შესრულებასო.

პრეზიდენტის გადაწყვეტილება მოიწონეს საპარლამენტო უმცირესობაში, რომლის ლიდერმა დავით ბაქრაძემ საგანგებო ბრიფინგზე პრეზიდენტთან ოპოზიციის შეხვედრა მოითხოვა და იმედი გამოთქვა, რომ მომავალ ერთ კვირაში მარგველაშვილი უბრალოდ დროს კი არ გაწელავს, ეცდება ქვეყანაში რეალური ცვლილებები განხორციელდეს:

„ჩვენ ველით პრეზიდენტ მარგველაშვილისგან, რომ ეს ერთი კვირა იქნება არა დროის მექანიკური გაწელვა, რომ ქვეყნის პრეზიდენტი გადადგამს რეალურ ნაბიჯებს იმისთვის, რომ ამ ერთი კვირის განმავლობაში საზოგადოებამ და ქვეყანამ რეალური ცვლილებები მიიღოს. ჩვენ მზად ვართ ამ პროცესში მონაწილეობისთვის და ვითხოვთ პრეზიდენტთან შეხვედრას, რათა საზოგადოებამ და ქვეყანამ აღარ მიიღოს ის ხელისუფლება და მთავრობა, რომელმაც შეიყვანა კრიზისში და ამ ერთკვირიან ვადას რეალური ცვლილებები მოჰყვეს“.

პრეზიდენტის გადაწყვეტილებით გამოწვეულ უკმაყოფილებას არ მალავს უმრავლესობა. პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ მარგველაშვილის გამოსვლას გაბრაზებული პოლიტიკოსის გადაწყვეტილება უწოდა.

პარტია „თავისუფალ დემოკრატებში“ კი ფიქრობენ, რომ პრეზიდენტმა მთავრობას აჩვენა, რომ მთავრობის დაკომპლექტების პროცესში ისიც სრულფასოვანი მოთამაშეა: „როგორც ჩანს, არ იყო საკმარისი კომუნიკაცია პრეზიდენტთან, რაც ამჯერადაც ნათლად გამოჩნდა“, - განაცხადა ირაკლი ჩიქოვანმა.

„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა ირაკლი ალასანიამ მთავრობის მიერ შემოთავაზებული ცვლილებები შეაფასა როგორც “აუხსნელი და ალოგიკური“.

„ჩემთვის აუხსნელია, როგორ შეუძლია ამ ცვლილებებს მოახდინოს სასწაული და გააუმჯობესოს ეკონომიკური ვითარება. პრეზიდენტის გადაწყვეტილება ლოგიკურია, რომ მთავრობას საფიქრალად ერთკვირიანი ვადა მისცა”, - განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

იმ შემთხვევაში, თუ ერთი კვირის შემდეგ პრეზიდენტი წარმოდგენილ სიას ხელს მოაწერს და პარლამენტს განახლებულ მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგენს, გიგლა აგულაშვილს პარლამენტში, სავარუდოდ, მისი ადგილმონაცვლე თემურ ნერგაძე შეცვლის; თინა ხიდაშელის, როგორც საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატის, შემცვლელი შემოდგომაზე გაირკვევა, როცა იქ შუალედური არჩევნები ჩატარდება; ხიდაშელისა და აგულაშვილისათვის დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხზე კი პარლამენტი უახლოეს სხდომაზე იმსჯელებს.

დღის ბოლოს ცნობილი გახდა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, საქართველოს კონსტიტუციის 79-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, თავდაცვის, გარემოს დაცვისა და სპორტის მინისტრების დანიშვნის შესახებ ბრძანება გამოსცა. პირველ მაისსვე მთავრობის ადმინისტრაციამ გაავრცელა პრეზიდენტის გამოსვლის საპასუხო განცხადება, რომელშიც გამოხატა სინანული, რომ მინისტრთა კაბინეტისთვის ნდობის გამოცხადების პროცედურის დაჩქარების თაობაზე პრეზიდენტმა მთავრობის თხოვნა არ გაითვალისწინა.

მასალა მოამზადა
ინგა შილაშვილმა

მეამაყება, რომ „სიკეთის ნერგმა” იხარა!

გვ.4-5

ფიროსმანის მირზაანის კოლექცია წინანდალში პირველად გამოიფინება

გვ.2

გვიყვარდეს ერთმანეთი და გვახსოვდეს წარსული

გვ.6

საყოველთაო აღწერის შედეგები

გვ.3

C M Y K

მთავრობის ადმინისტრაცია: დასანანია, რომ პრეზიდენტმა გარემოებები არ გაითვალისწინა

მთავრობის ადმინისტრაცია პრეზიდენტის გადაწვეტილებას გამოეხმაურა და განაცხადა, რომ მთავრობა მზად არის, ნდობის ხელახლა გამოცხადების პროცედურა მაქსიმალურად მოკლე ვადებში დასრულდეს.

„დღეს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, გვინდა მოგაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია: მიუხედავად იმისა, რომ მინისტრების დანიშვნა პრემიერ-მინისტრის ექსკლუზიური უფლებაა, ახალი კანდიდატების წარდგენამდე ირაკლი ღარიბაშვილმა კონსულტაციები გაიარა კოალიცია „ქართულ ოცნებასა“ და საპარლამენტო უმრავლესობის წევრებთან. ბუნებრივია, პრეზიდენტის კონსტიტუციური უფლებაა, მინისტრთა კაბინეტის განახლებული შემადგენლობა პარლამენტს ერთი კვირის ვადაში წარუდგინოს. საქართველოს მთავრობა ჩვეულებრივ რეჟიმში აგრძელებს მუშაობას, თუმცა რადგან პარლამენტმა მთავრობის განახლებულ შემადგენლობას ხელახალი ნდობა ჯერ ვერ გამოუცხადა, ეს ქმნის გარკვეულ უხერხულობას ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან ურთიერთობაში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლა, როდესაც სულ რამდენიმე დღეში 13 მაისს, მთავრობამ თბილისში EBRD-ის ყოველწლიურ შეხვედრას უნდა უმასპინძლოს. 21-22 მაისს ტარდება რიგის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი, რისი მოსაზადებელი ვიზიტები სწორედ მომავალ კვირას არის დაგეგმილი: ვიცე-პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი ბრიუსელში მიემგზავრება; ვიცე-პრემიერი კახა კალაძე - გერმანიაში; იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი - საფრანგეთში, ბელგიასა და ესტონეთში; დევნილთა და განსახლების მინისტრი სოზარ სუბარი - თურქეთში; საგარეო საქმეთა მინისტრი თამარ ბერუჩაშვილი - გერმანიაში, ბელგიაში, თურქეთსა და სლოვაკეთში; ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური - აზერბაიჯანში; შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური - გერმანიაში; სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, დავით ბაქრაძე - ესპანეთსა და დანიაში; საქართველოს პრემიერ-მინისტრს მომავალი კვირიდან დაგეგმილი აქვს უმნიშვნელოვანესი შეხვედრები, აშშ-ის სენატის დელეგაციასთან, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტთან, EBRD-ის პრეზიდენტთან, გერმანიის ბუნდესტაგის წევრებთან, ატლანტიკური საბჭოს დელეგაციასთან, ასევე პრემიერი გახსნის EBRD-ის ყოველწლიურ შეხვედრას, რომელსაც 60-ზე მეტი მაღალი რანგის სტუმარი და 2 ათასზე მეტი ბიზნესმენი დაესწრება. ჩვენი ქვეყნის პრესტიჟის საქმეა თბილისმა ღირსეულად უმასპინძლოს ისეთ მნიშვნელოვან ღონისძიებას, როგორიც არის EBRD-ის ყოველწლიური შეხვედრა, რომელმაც საქართველოს კონკრეტული შედეგები უნდა მოუტანოს. მთავრობა ასევე ემზადება რიგის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტისთვის და სწორედ ამ ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობდა პრემიერ-მინისტრის მიმართვა, ნდობის ხელახლა გამოცხადების პროცედურების დაჩქარებასთან დაკავშირებით. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული გარემოებების შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ჯერ კიდევ 29 აპრილს ისაუბრა, როდესაც საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტს, მთავრობისთვის ნდობის ხელახლა გამოცხადების პროცედურების დაჩქარების თხოვნით მიმართა.საგულისხმოა, რომ აღნიშნული გარემოებები მისაღები იყო საპარლამენტო უმრავლესობის, უმცირესობის - ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ და ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენლებისთვის და, წინასწარი კონსულტაციების შედეგად, ისინი მზად იყვნენ, მთავრობისთვის ნდობის ხელახლა გამოცხადება შაბათს, 2 მაისს დაგეგმილ რიგგარეშე სესიაზე მომხდარიყო. ასევე აღსანიშნავია, რომ წინასწარი კომუნიკაცია იყო მთავრობის ადმინისტრაციასა და პრეზიდენტის ადმინისტრაციას შორის. კომუნიკაცია შედგა პრემიერსა და პრეზიდენტს შორისაც. დასანანია, რომ საქართველოს პრეზიდენტმა არ გაითვალისწინა ჩამოთვლილი ობიექტური გარემოებები, რითაც პროცესი ტექნიკურად შეფერხდა და ნდობის ხელახლა გამოცხადების პროცედურა ერთი კვირით გადაიდო. კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოზიცია, მინისტრთა კაბინეტის ახალი შემადგენლობასთან დაკავშირებით, სრულიად ჩამოყალიბებულია და მთავრობა მზად არის, ნდობის ხელახლა გამოცხადების პროცედურა მაქსიმალურად მოკლე ვადებში დასრულდეს”, -ნათქვამია განცხადებაში.

საკრებულომ დედოფლისწყაროს ბიუჯეტში ცვლილებები შეიტანა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2015 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში ცვლილებები შეიტანა.

ცვლილებების თანახმად, შემოსავლების გეგმა 61,4 ათასი ლარით გაიზარდა. აქედან, 35,7 ათასი ლარი რეგიონალური განვითარების ფონდიდან სოფელ სამრეკლოს სანიაღვრე არხის რეაბილიტაციის მიზნით გამოიყო, ხოლო 25,7 ათასი ლარი ფინანსური აქტივების კლებიდან დაემატა.

აღნიშნული თანხიდან 15 ათასი ლარი ქ. დედოფლისწყაროში ბიბლიოთეკისთვის გამოყოფილი ფართის ჭერის, 4 ათასი ლარი კი სამთაწყაროს საბავშვო ბაღის შეკეთებას მოხმარდება. დარჩენილი 6,7 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმდინარე საჭიროებებისთვის დაიხარჯება.

საკრებულოს წევრებმა ასევე, დადებითი შეფასება მისცეს 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშსაც.

კალიების წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო

კალიების კერების აღმოჩენის შემთხვევაში, მიმართეთ სოფლის წარმომადგენლებს და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ სამსახურს. შეგახსენებთ, რომ სურსათის ეროვნული სააგენტოს განცხადებით, კალიების წინააღმდეგ ბრძოლა სპეციალური ტექნიკით მაისის თვეში დაიწყება.

პროკურატურა გენეტიკური ექსპერტიზის შედეგებს ასაჯაროებს

იური ვაზაგაშვილის განზრახ მკვლელობის საქმეზე გენეტიკური ექსპერტიზა დასრულებულია, რომლის შედეგებსაც საქართველოს მთავარი პროკურატურა ასაჯაროებს.

საგამოძიებო უწყების ცნობით, გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნით დადგინა,რომ ნივთმტკიცებაზე აღმოჩენილი მეორე დნმ-პროფილი არ ეკუთვნის შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომელს, როგორც ამას ვაზგაშვილის საქმეში ბრალდებული სოსანაშვილი და მისი ადვოკატი საჯაროდ აცხადებენ.

კერძოდ: გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნით დადგინა, რომ შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლის რ. ასანიძის გენეტიკური პროფილი არ არის ნივთმტკიცებებზე, შესაბამისად, 2015 წლის 20 იანვარს შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ხელყუმბარის ამფეთქი ფალიის სახელურზე აღმოჩენილი დნმ-ი არ ეკუთვნის რ. ასანიძეს.

პროკურატურის ინფორმაციით, რ ბრალდებულ გიორგი სოსანაშვილისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე, 2015 წლის 25 აპრილს, შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლის - როინ ასანიძისაგან დაცვის მხარისა და დაზარალებული მხარის წარმომადგენლების თანდასწრებით, აღებული იქნა დნმ-ის ნიმუში, რომელიც საექსპერტო კვლევისათვის გადაეგზავნა ექსპერტიზის ბიუროს.

2015 წლის 28 აპრილს, გ. სოსანაშვილის ადვოკატისა და გარდაცვლილ იური ვაზაგაშვილის წარმომადგენლის თანდასწრებით საექსპერტო ბიუროში გაიხსნა მთავარ პროკურატურაში მათივე თანდასწრებით დალუქული დნმ-ის ნიმუში და ჩაუტრდა გენეტიკური კვლევა.

ამრიგად, ექსპერტიზის დასკვნით ცალსახად დადასტურდა, რომ ნივთმტკიცებაზე აღმოჩენილი მეორე დნმ-პროფილი არ ეკუთვნის შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომელს, როგორც ამას სოსანაშვილი და მისი ადვოკატი საჯაროდ აცხადებენ და ყველასათვის ნათელია, რომ ბრალდებულ გ. სოსანაშვილისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის ს. ჯოგლიძის განცხადებები იყო და არის ტყუილი, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს, მიზნად ისახავს მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოების შეცდომაში შეყვანას და წარმოადგენს მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან თავის არიდების უსუსურ მცდელობას.

ფიროსმანის მირზაანის კოლექცია წინანდალში პირველად გამოიფინება

2015 წლის 4 მაისიდან, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი (წინანდალი) ნიკო ფიროსმანის ნამუშევრების გამოფენას უმასპინძლებს. წარმოდგენილი იქნება მირზაანის სახლ-მუზეუმში დაცული ფიროსმანის 13 ნახატი, მხატვრის სხვადასხვა პერიოდის გამოფენის აფიშები და პაბლო პიკასოს „ნიკო ფიროსმანაშვილის პორტრეტი“. გამოფენა 31 მაისის ჩათვლით გაგრძელდება.

ამ სახით რეტროსპექტივა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს პროგრამის „მუზეუმების კოლექციიდან“ ფარგლებში მოგზაურობს - კოლექცია თბილისის ხელოვნების სასახლეში, შემდეგ ქუთაისში იყო წარმოდგენილი. ნიკო ფიროსმანის მირზაანის კოლექციის გამოფენა პირველად ეწყობა წინანდალში. შემდეგ ნამუშევრები ბათუმის სახელმწიფო მუზეუმში განთავსდება.

ალ.ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმს არაერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო კულტურული ღონისძიება გაუმართავს წინანდალში. მათ შორის იყო სალვადორ დალის, პიტ მონდრიანის, ელენე ახვლედიანის, სერგო ქობულაძის, შურა ბანძელაძის, დავით კაკაბაძის ნამუშევრების გამოფენები.

ისტორიული კომპლექსი აერთიანებს სახლ-მუზეუმს, ულამაზეს ბაღს და ენოთეკას. კომპლექსი ღიაა ყოველდღე 10—დან 18 საათამდე; ბილეთის ფასი 5 ლარია (სტუდენტებისთვის-4 ლარი; მოსწავლეებისთვის-3ლარი) - მუზეუმში მოქმედებს სპეციალური შეთავაზებები ღვინის ტურით.

შეხვედრის საბაბი – ლიტერატურული პრემია „საბა“ კახეთში

4 მაისს, 20:00 საათზე, თელავში, კაფე „მარლეტაში“ გაიმართება „საბას“ ლაურეატის, მწერალ კოტე ჯანდიერის შემოქმედებითი საღამო. მწერალი წაიკითხავს ფრაგმენტებს საკუთარი ნაწარმოებებიდან, უპასუხებს მკითხველთა შეკითხვებს.

მანამდე კი, 14:00 საათზე, პრემია „საბას“ ლაურეატები რატი ამაღლობელი, კოტე ჯანდიერი, თეონა დოლენჯაშვილი და ტორესა მოსი კახეთის ორი სოფლის - ვაზისუბნისა და წინანდლის საჯარო სკოლებს საჩუქრად გადასცემენ ელექტრონულ ბიბლიოთეკას - “საბას” სპეციალურ სამკითხველო კუთხეს, ლეპტოპითა და შიგ ჩატვირთული 600-ზე მეტი ელექტრონული წიგნით.

ქართლისა და იმერეთის შემდეგ, კახეთი მესამე რეგიონია, სადაც პრემია „საბა“ შეხვედრებს მართავს და საჯარო სკოლებს ბიბლიოთეკით ასაჩუქრებს. „შეხვედრის საბაბი“ - ასე ჰქვია პრემია „საბას“ ამ ახალ საგანმანათლებლო აქციას, რომლის ფარგლებში „საბას“ ლაურეატები წლის განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს მოივლიან და ადგილობრივ მკითხველებს შეხვდებიან, ამავე რეგიონის სოფლის სკოლებს კი საჩუქრად „საბას“ ელექტრონული წიგნების ბიბლიოთეკებს გადასცემენ.

ამ აქციის მხარდამჭერნი არიან წამყვანი ქართული გამომცემლობები, რომელთაც უსასყიდლოდ გადასცეს სოფლის სკოლების ელექტრონული ბიბლიოთეკისთვის: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, დიოგენე, სიესტა, ინტელექტს, არტანუჯი, პალიტრა გ, საუნჯე და ა.შ.

მსოფლიომ 1 მაისი აღნიშნა

ევროპაში და დანარჩენ მსოფლიოში აქტივისტები და პროფესიული კავშირების წარმომადგენლები აღნიშნავენ მშრომელთა საერთაშორისო დღეს. მიმდინარეობს ძირითადად მშვიდობიანი აქციები, მშრომელთა უფლებების დაცვის და მსოფლიოში მშვიდობის დამყარების მოწოდებებით. თურქეთში აქცია ძალადობაშიგადაიზარდა - სტამბოლში ათასობით პოლიციელსა და დემონსტრანტს შორის მოხდა შეხლა-შემოხლა მას შემდეგ, რაც აქტივისტები არ დამორჩილდნენ მთავრობის აკრძალვას და აქციის გამართვა ტაქსიმის მოედანზე სცადეს. დემონსტრანტები პოლიციამ განდევნა, წყლის ჭავლის და ცრემლმდენი გაზის გამოყენებით. დემონსტრანტებმა ამას პოლიციისთვის ქვების და მაშხალების სროლით უპასუხეს. ირანში ათასობით მუშამ მიიღო მონაწილეობა თეირანში გამართულ დემონსტრაციაში, რომელიც გაიმართა სამუშაო პირობების გაუმჯობესების და უცხოელების მიერ სამუშაო ადგილების დაკავების შეზღუდვის მოთხოვნებით. ირანში უმუშევრობის მაჩვენებელი 10 პროცენტს აჭარბებს. ქვეყანაში იმყოფება მილიონზე მეტი ავღანელი მუშა. ისინი ძირითადად მშენებლობის და სოფლის მეურნეობის სფეროებში არიან დასაქმებული.

რეგიონებში მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და მომსახურების გაუმჯობესებისთვის საქართველომ გრანტი მიიღო

1 მაისს, საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს (IBRD) შორის გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერეს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა და მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში ჰენრი კერალიმ. ხელმოწერის ცერემონიას ასევე დაესწრო მუნიციპალური განვითარების ფონდის დირექტორი ილია დარჩიაშვილი.

დოკუმენტი ითვალისწინებს შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, 5 მილიონი დოლარის ოდენობის გრანტის გამოყოფას, ქვეყანაში 2014 წლიდან მიმდინარე „რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტის“ თანმდევი ღონისძიებების დაფინანსებისთვის.

„მსოფლიო ბანკი განაგრძობს საქართველოს დახმარებას. მისი მხარდაჭერით საქართველოსთვის მოძიებულ იქნა დამატებითი ფინანსური რესურსი, რომელიც მოხმარდება ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერებას, რათა მოსახლეობამ რეგიონებში მიიღოს სრულყოფილი მომსახურება,“ - აღნიშნა ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა.

„შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსთან დღეს გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულება მნიშვნელოვანია ეფექტური ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის დაფუძნებისთვის. საქართველოსთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსი, ხელს შეუწყობს ადგილებზე ბიუჯეტირების, დაგეგმარების, აქტივების ეფექტიანად მართვის პროცედურების გაუმჯობესებას. მნიშვნელოვანია, რომ პროექტი ასევე ხელს უწყობს ბიზნესის განვითარებას სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, ინფრასტრუქტურის, წყალმომარაგების, ენერგოსისტემის გაუმჯობესების კუთხით, რაც სტიმულს მისცემს რეგიონებში კერძო ინვესტიციების მოზიდვას,“ - განაცხადა მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში ჰენრი კერალიმ.

მუნიციპალური განვითარების ფონდის დირექტორის ილია დარჩიაშვილის განცხადებით, მიღებული ფინანსური დახმარება ასევე ხელს შეუწყობს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის მჭიდრო და ეფექტიან თანამშრომლობას.

აღნიშნული პროექტისთვის, მსოფლიო ბანკის მიერ უკვე გამოყოფილია 30 მლნ აშშ დოლარის ოდენობის ფინანსური რესურსი. პროექტის განხორციელება ნავარაუდებია 2015 -2017 წლებში.

საყოველთაო აღწერის მიხედვით საქართველოს მოსახლეობა 3 729 635 ადამიანს შეადგენს

საქსტატის საყოველთაო აღწერის წინასწარი მონაცემებს ასაჯაროებს, რომლის თანახმადაც, 2014 წლის 5 ნოემბრის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობა 3 729 635 ადამიანით განისაზღვრა. წინა აღწერასთან (2002) შედარებით მოსახლეობის რაოდენობა 641 900 შემცირდა.

აღწერის შედეგების მიხედვით, სოფელში ცხოვრობს 1 589 509 ადამიანი. სოფლის მოსახლეობა 23.8%-ით შემცირდა, ხოლო ქალაქის- 6.3 %-ით. მთელი მოსახლეობის 57. 4% ქალაქში ცხოვრობს, რაც 2002 აღწერის მაჩვენებელს 5.1%-ით აღემატება.

თბილისში 1 118 035 ადამიანი ცხოვრობს და თბილისის მოსახლეობის წილი საქართველოს მთლიან მოსახლეობაში 30%-ია. წინა აღწერასთან შედარებით მოსახლეობის რაოდენობა გაზრდილია ბათუმში (26.3%), რუსთავში (7.3%). მოსახლეობის რაოდენობა ყველაზე მეტად შემცირდა რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (37.4%), სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონში (29%).

საყოველთაო აღწერა 5 ნოემბერს დაიწყო და ორი კვირის განმავლობაში გაგრძელდა. 2014 წლამდე საქართველოში მოსახლეობის საყოველთაო აღწერა 2002 წელს ჩატარდა.

დედოფლისწყაროელ პედაგოგებს შრომითი უფლებების თემაზე სემინარი ჩაუტარდათ

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის წყნეთის სასწავლო ბაზაზე, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „სპმთპ — ადამიანის უფლებების კულტურის ამაღლებისათვის“ ფარგლებში ჩატარდა სემინარი თემაზე „სოციალური დიალოგი საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულთა შრომითი და სოციალური უფლებების დაცვისათვის“ დედოფლისწყაროს საჯარო სკოლების დირექტორების, ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლისა და პროფკავშირული აქტივის მონაწილეობით.

სემინარი სპმთპ-ის პრეზიდენტმა, მაია კობახიძემ გახსნა. მან მონაწილეებს მადლობა გადაუხადა სემინარზე აქტიური მონაწილეობისთვის და ისაუბრა სპმთპ-ისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის მიმდინარე თანამშრომლობაზე, განათლების სფეროში მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე, სპმთპ-ის მიღწევებსა და მიდგომებზე. მაია კობახიძემ აღნიშნა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მიმდინარეობს სოციალური დიალოგი ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ფუნდამენტალური ცვლილებების განხორციელების მიზნით, ბევრი საკითხი წყდება პროფკავშირების ჩართულობით, ასევე მნიშვნელოვანია რაიონული რესურსცენტრების, საჯარო სკოლების ადმინისტრაციებისა და სპმთპ-ის რაიონული სტრუქტურული ერთეულებს შორის თანამშრომლობის განვითარება და საერთაშორისო გამოცდილებების გაზიარება.

სემინარზე წარმოდგენილი იყო, როგორც სახელმწიფო დონეზე ისე რეგიონულ დონეებზე სოციალური დიალოგის წარმოებისათვის მნიშვნელოვანი საკითხებისა და მექნიზმების განხილვა, რასაც ითვალისწინებს „შრომის კოდექსი“, „კანონი პროფესიული კავშირების შესახებ“, „საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ“, საქართველოს მიერ რატიფიცირებული შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციები და საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სემინარის მონაწილეები ასევე გაეცვნენ შრომითი-სოციალური უფლებების დაცვისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობის საკანონმდებლო ბაზას. პროცესი ინტერაქტიულ რეჟიმში მიმდინარეობდა და ამომწურავი პასუხები გაეცა მათთვის საინტერესო თემებზე. ორდღიან სემინარს უძღვებოდნენ სპმთპ-ის აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი მარი ალუღიშვილი, სპმთპ-ის ვიცე-პრეზიდენტი საფინანსო დარგში ნათია კორძაძე და სპმთპ-ის პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორი მარინა მკალავიშვილი.

პროექტი საქართველოსთვის განკუთვნილი სქემის „დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ევროპული ინსტრუმენტის“ ფარგლებში მიმდინარეობს, რომლის მიზანია საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნების შესრულების ხელშეწყობა, სპმთპ-სა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის მიმდინარე სოციალური დიალოგის შემდგომი განვითარება და სრულყოფა ყველა დონეზე.

ილია მარტყოფლიშვილი

მეამაყება, რომ „სიკეთის ნერგმა" იხარა!

სულ ცოტა ხნის წინ, თბილისის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მწიგნობართა ასოციაციის ორგანიზებით გაიმართა ნომინანტების „საუკუნის ლეგენდა"და „ახალგაზრდა პროფესიონალების" დაჯილდოვება, სადაც ჩვენი რაიონის საზოგადო მოღვაწენიც დაჯილდოვდნენ, ამას მათივე ორგანიზებით მოჰყვა გოდერძი ჩოხელის საღამო არხილოსკალოში, შემდეგ ლადო ათანელის მონვევა რაიონის ხელოვნების სკოლის პედაგოგების მიერ, რამდენიმე დღის წინ კი, კვლავ ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის ორგანიზებით კიდევ ერთი ლამაზი საღამო, სახელწოდებით „სიკეთის ნერგი იხარებს"გაიმართა, რომელიც ჩვენი რაიონის საამაყო და სახელოვანი პედაგოგების ნანა მერაბიშვილის და სვეტლანა შალვაშვილის დაჯილდოვებას ეძღვნებოდა.

ადამიანი, რა საქმესაც არ უნდა ემსახურებოდეს იგი, გულით უნდა ემსახუროსო, -ნათქვამია, გულით გაკეთებული საქმე სიკეთის თესლს თავისთავად აგდებს ხნულში, რომელიც წლების შემდეგ აღმოცენდება, იზრდება და ნაყოფს გამოისხამს, ნაყოფი, რომელიც ჩვენს ქვეყანას სასიკეთოდ წაადგება. სწორედ ასეთი სიკეთის ნერგი ჩააგდეს თავისი მოღვაწეობით პედაგოგებმა ნანა მერაბიშვილმა და სვეტლანა შალვაშვილმა, რომლებსაც მიეძღვნა აღნიშნული შეხვედრა.

საღამო მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული, ღონისძიებას უძღვებოდა საღამოების წამყვანი-დიდოსტატი ქალბატონი ცარო მარტიაშვილი. ღონისძიების ორგანიზება ამ ასოციაციის გამგეობის თავმჯდომრის მოადგილემ ქალბატონმა ნანა ჭიჭინაძემ საკუთარ თავზე აიღო. მხარდამჭერები გახლდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, რაიონის კულტურის სამსახური და ხელოვნების სკოლა, საინფორმაციო მხარდამჭერები იყვნენ ტელეარხი „ობიექტივი" და გაზეთი „შირაქი".

ნანა მერაბიშვილი და სვეტლანა შალვაშვილი ჩვენი ქვეყნის ყველაზე მძიმე პერიოდში იყვნენ სკოლის დირექტორები და მიუხედავად მძიმე პერიოდისა, მათ სკოლების მართვას შესანიშნავად გაართვეს თავი. სწორედ ამიტომ ისინი მაშინდელი მთვარობის მიერ უმაღლესი ჯილდოთი, ღირსების ორდენებით დაჯილდოვდნენ. ეს საუკეთესო მაგალითი გამოდგა მათთვის, ვისაც სურდა, რომ მათ სწავლას კარგი შედეგი გამოეღო. ნანა მერაბიშვბილი და სვეტლანა შალვაშვილი ღამპრად უნთია ჩვენი რაიონის თაობებს, ისინი არიან მაგალითნი იმის, თუ როგორ შეიძლება თავდაუზოგავმა შრომამ და ღვაწლმა მიიყვანოს თუნდაც რეგიონის პედაგოგი იქამდე, რომ ის ღირსეულთა შორის ღირსეული გახდეს. ყველა ჯილდოზე კიდევ უფრო დიდი საჩუქარი ის გახლავთ, რომ არა მარტო ზემდგომებიდან მიიღო მადლობები, არამედ მაგალითიც გახდე შენი აღსაზრდელებისთვის და სიყვარული მოიმკა მათგან. ვინ არ ეახლა იმ დღით დაჯილდოვებაზე ნანა მერაბიშვილს და ვინ არ მოიხარა ქედი მის წინაშე. სიტყვით გამოვიდნენ და ნანა მერაბიშვილის პედაგოგობის წლები გაიხსენეს მისმა ნამონაფარებმა: სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის ფილოლოგმა და პედაგოგმა რუსუდან გონაშვილმა, საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების დირექტორმა, ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის გამგეობის წევრმა ხათუნა აგლაძემ, შპს „შირაქის" დირექტორმა და ასევე მწიგნობართა ასოციაციის გამგეობის წევრმა ინგა შიოლაშვილმა, მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, რომელმაც თავის მხრივ გაწეული პედაგოგიური მოღვაწეობისთვის კიდევ ერთი ჯილდო გადასცა ნანა მერაბიშვილს. შეხვედრაზე გამგებელმა გაწეული ღვაწლისთვის ასევე დააჯილდოვა ილია ჭავჭავაძის მწიგნობართა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომრის მოადგილე, ამ საღამოს ორგანიზატორი, აქტიური მოქალაქე და არაერთი საინტერესო პროექტის ავტორი, ქალბატონი ნანა ჭიჭინაძე.

დარბაზი სტუმრებს და დამსწრე საზოგადოებას ვერ იტევდა, ქალბატონმა ცარო მარტიაშვილმა დამსწრეთ გააცნო ორი გამორჩეული პედაგოგის მინი დოსიეები:

ნანა მერაბიშვილი დაიბადა პედაგოგების ოჯახში. ოქროს მედალზე დაამთავრა დედოფლისწყაროს ქართული საშუალო სკოლა და წითელ დიპლომზე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. აღმოსავლური ენების ფაკულტეტის კურსდამთავრებული დაუბრუნდა მშობლიურ სკოლას. ურთულეს პერიოდში (1990-95 წლებში) იყო დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის დირექტორი, მანამდე 2 წლის განმავლობაში სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე (1989-90 წლებში), როგორც საუკეთესო სპეციალისტი და პროფესიონალი წარგზავნილი იქნა გორის ეკონომიკურ ინსტიტუტში მიმღები კომისიის წევრად, რასაც მოჰყვა მისი მუშაობა საპროტესტო კომისიაში. ამავე წლებში მას, როგორც უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების წარჩინებით კურსდამთავრებულს, რექტორმა შესთავაზა ირანის ქალაქ თეირანში ორი წლის ვადით თარჯიმნად წასვლა, რაზეც უარი განაცხადა, რადგან იცოდა, მშობლებს შვილთან განშორება გაუჭირდებოდათ. 2001 წელს იგი დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

სვეტლანა შალვაშვილი დაიბადა პედაგოგების ოჯახში, მამა მეორე მსოფლიო ომში დაეღუპა, ოქროს მედალზე დაამთავრა წითელწყაროს პირველი საშუალო სკოლა და წითელ დიპლომზე პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიის ფაკულტეტი, რომლის დამთავრების შემდეგ მშობლიურ სკოლას დაუბრუნდა. მალევე დააწინაურეს ჯერ განათლების განყოფილების მეთოდისტად, შემდეგ განათლების განყოფილების გამგედ. საზოგადოებრივ საწყისებზე იყო რაიონის პედაგოგიური ორგანიზაციის თავმჯდომარე, ორი მოწვევის რაიონული საკრებულოს დეპუტატი, ამავდროულად, განათლების კულტურისა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე 1997-2008 წლებში სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის დირექტორი. 2002 წელს დაჯილდოვდა რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდოთი- ღირსების ორდენით.

დიდი ცოდნა, პრინციპულობა, შრომისმოყვარეობა, ობიექტურობა, გამოცდილება – აი ყველაფერი ის, რისი წყალობითაც ქალბატონმა სვეტამ და ქალბატონმა ნანამ მოსწავლეებთან და მშობლებთან ერთად მთელი რაიონის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს. სწორედ მათზეა ნათქვამი „მასწავლებელო, მასწავლებლობას გმირობად გითვლის ერი."-აღნიშნა თავის სიტყვაში ცარო მარტიაშვილმა.

ახალგაზრდა თაობიდან სცენაზე მიიწვიეს პირველი საჯარო სკოლის წარჩინებული მოსწავლე ქეთი ჩაფიაშვილი, ქეთი გასულ წელს პროექტ „ფლექსის" გამარჯვებული გახლდათ და ის ერთი წლით ამერიკაში იყო სასწავლებლად, ქეთიმ წარმატებით გაართვა თავი ამერიკული პროგრამით სწავლას და უცხოელებს ქართული კულტურის უკეთ გაცნობითაც დაამახსოვრა თავი. ქეთი ჩაფიაშვილი ნანა მასწავლებელს მიესალმა, მადლობა გადაუხადა მისი ღვაწლისთვის და რამდენიმე ხალხური სიმღერა შემოგვთავაზა ფანდურის თანხლებით. ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა განათლებისა და მეცნიერების მუშაკთა პროფკავშირების დედოფლისწყაროს რაიონული საბჭოს თავმჯდომარე მაყვალა მაძღარაშვილი, თბილისიდან სპეციალურად ჩამობრძანებულმა პოეტმა თემურ ჩალაბაშვილმა მწერალთა საზოგადოების სახელით მოკითხვა გადასცა ღვაწლმოსილ პედაგოგებს და გაამხილა, რომ ორივე პედაგოგს მწერალთა კავშირი დიდი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის პრემიით დაჯილდოვებს. განსაკუთრებულად მოეფერა ნანა მასწავლებელს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი ნონა ჯიბღაშვილი, რომელიც ასეთივე ღვაწლმოსილი პედაგოგის, აწ გარდაცვლილი იზო გურაშვილის შვილია. სწორედ დედის მეგობრებზე საუბრის გამო ქალბატონმა ნონამ სცენაზე ემოცია ვერ დაფარა და ცრემლის გარეშე გაუჭირდა საკუთარი სათქმელის გადმოცემა.

-„მე, ყველაზე უკეთ ვიცი მასწავლებლობის მძიმე და საპასუხისმგებლო ხვედრი, ეს არის პროფესია, რომელიც ადამიანებს საკუთარი თავის ბედნიერებაზე ათქმევინებს უარს, ნამდვილი პედაგოგები ყველაფერს, მათ შორის საკუთარ შვილებსაც კი „სწირავდნენ" პროფესიული საქმიანობის პირნათლად შესრულებას. ეს გახლავთ წარმოუდგენელი შრომის, წარმოუდგენელი ენერგიის გაღების საფასური, რომელსაც წლების შემდეგ იმკის პედაგოგი და ეს, ამად ნამდვილად ღირს, დამერწმუნეთ. ქალბატონი ნანა მასწავლებელი არა მარტო საუკეთესო პედაგოგია, ის უპირველესად საუკეთესო დედაა, დედა, რომელმაც უნიჭიერესი შვილები შვა, დედა, რომელმაც ისეთი შვილები აღზარდა, რომ მათით ყოველთვის იამაყებს საქართველო. დღეს ისინი წარმატებულები არიან თავის საქმეში. თამარ მამუკელაშვილი თავდაცვის სამინისტროს წარმატებული მუშაკია, ხოლო ზურაბი – საერთაშორისო აუდიტორიული კომპანია KPMG-ის უფროსი მენეჯერია მოსკოვისა და თბილისის ოფისებში. როდესაც წარმატებულ დედას წარმატებული შვილები ჰყავს, ვფიქრობ, ეს ყველაზე დიდი გამარჯვებაა, დედისთვის მთავარი მაინც შვილებია და მე ვულოცავ ქალბატონ ნანას ყველა ამ გამარჯვებას ერთად,"-აღნიშნა ნონა ჯიბღაშვილმა.

წამყვანმა ცარო მარტიაშვილმა საზოგადოებას გააცნო გზავნილები.

–„მსურს გულითადად მივულოცო სვეტა შალვაშვილს და ნანა მერაბიშვილს გარდამავალ პერიოდში სკოლის საუკეთესო დირექტორის ტიტულის მინიჭება, ჩემთვის საამაყოა ორიოდე სიტყვით გავიხსენო ღირსეული მამულიშვილების, პედაგოგების ოჯახში აღზრდილების სათუთი დამოკიდებულება თითოეულ მოსწავლესთან. მათ უროულეს პერიოდში მოუხდათ სკოლის დირექტორობა, მიუხედავად ამისა, მათ შეძლეს საზოგადოების სიყვარულისა და პატივისცემის დამსახურება, ეს საღამოც ხომ ამის დასტური გახლავთ. არავითარ ძალას არ შეუძლია ადამიანის გაკეთილშობილება ისე, როგორც ხელოვნებას, იყო კარგი მასწავლებელი და ეზიარო ღმერთისგან კურთხეულ უროულეს პროფესიას, ესეც ხომ დიდი ხელოვნებაა. მე და ნანას ერთ პერიოდში მოგვინია სკოლების ორგანიზატორებად მუშაობა და კარგად მახსოვს რა პოპულარული იყო პედაგოგიურ საზოგადოებაში თავისი ენთუზიაზმის ნაყლობით. ხელმძღვანელობდა ქართული ენისა და ლიტერატურის და სკოლის ორგანიზატორების მეთოდ-გაერთიანებას, აქტიურად თანამშრომლობდა რაიონის სხვა სკოლებთან, გამორჩეულად ჩანდა მთელ რაიონში, ზოგი თუ შურით, უმრავლესობა სიამოვნებით ადევნებდა თვალს მის ნარმატებულ მუშაობას. მახსოვს, რაიონის სკოლებში და მათ შორის ჩვენთან არბოშიკში, როგორც განათლების განყოფილების შტატგარეშე მეთოდისტი, ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებს ესწრებოდა, ქალბატონ-მელო ბოქოლიშვილთან ერთად, გაკვეთილის ანალიზის პროცესში პედაგოგებს გონივრულ რჩევებს აძლევდა და თავის პედაგოგიურ გამოცდილებას უზიარებდა. ვნუხვარ, რომ ავადმყოფობის გამო, ვერ ვესწრები ამ საღამოს გულით ვულოცავ ჩემთვის საყვარელ ამ ორ ადამიანს დღევანდელ დღეს და კიდევ ერთ დიდ აღიარებას". - **პატივისცემით არბოშიკის საჯარო სკოლის ყოფილი პედაგოგი** მერი კოჭლამაზაშვილი-გონაშვილი.

გზავნილი მეორე: - „ჩემი კოლეგების, მარგო ფაშალიშვილის, თამარ და შიშა მასწავლებლების შვილები, სვეტა შალვაშვილი და ნანა მერაბიშვილი ჩემს თვალწინ გაზარდნენ. ორივე ოქროს მედალოსანია, ორივემ წითელ დიპლომზე დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი. ნანა მერაბიშვილს ჩვენი ქვეყნის ურთულეს პერიოდში 90-იან წლებში მოუხდა სკოლის დირექტორობა და არც თუ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, რვვრი სასიკეთო საქმის გაკეთება შესძლო. განახლდა სკოლის შენობა, კეთილმოენყო ეზო-გარემო. მისი ორგანიზატორობისა და დირექტორობის პერიოდში, არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩატარდა, რომელთაგან რაიონს დღესაც ახსოვს შეხვედრები ომისა და შრომის გმირებთან, ფერეიდნელ ქართველებთან, მოჯადრაკე ნონა გაფრინდაშვილთან, პოეტ იოსებ ნონეშვილთან. ნანას სიამაყე, პირველყოვლისა მისი მოსწავლეები არიან, რომლებიც არ ივიწყებენ მის ამაგს და დიდი სიყვარულით პასუხობენ. მართალია, ჩვეული თავმდაბლობით, თვითონ გაურბის შვილების ქებას, მაგრამ რაიონში დიდი თუ პატარა იცნობს მათ, ზურა და თამარ მამუკელაშვილებს, ნარმატებულებს, ენერგიულებს, შრომისმოყვარეებს. ნანა დღესაც ჩვეული ენთუზიაზმით აგრძელებს მოსწავლე ახალგაზრდობის საკეთილდღეოდ შრომას. კიდევ ერთხელ ვულოცავ ორივე მათგანს საუკეთესო დირექტორებად დასახელებას."- **პატივისცემით N1 საჯარო სკოლის მათემატიკის ყოფილი მასწავლებელი** მანო ისაიაშვილი.

ღონისძიების დასასრულს სიტყვა წარმოთქვა ნანა მერაბიშვილმა. (სამწუხაროდ, გარკვეული მიზეზების გამო, სვეტა მასწავლებელი ვერ ესწრებოდა ამ შეხვედრას და მხოლოდ ნანა მასწავლებელს მოუწია სიტყვით გამოსვლა.):

-„ძალიან დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ ყველას ამ თბილი შეხვედრისთვის, უპირველეს ყოვლისა კი მწიგნობართა ასოციაციას, რომელიც ერთგულად მიუყვება არჩეულ გზასეფერება ყველასგან მივიწყებულ ინტელიგენციას, თითოეულ ადამიანს და ამით სიკეთისა და სიყვარულის მაგალითს აძლევს საზოგადოებას, რომელსაც ხშირად ავიწყდება მოყვასი და უფლის მცნებები, რომელსაც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში შთააგონებდა ბუმბერაზი შემოქმედი ვაჟა-ფშაველა ქართველ ხალხს- „გიყვარდეთ კაცნო ერთმანეთი!" ბევრი რამის გახსენება შეიძლება, ბევრი ტკბილ-მწარე მოგონებაა დაკავშირებული წარსულთან, მაგრამ სიტკბო მაინც მეტია. ეს სიტკბო გადაუჭარბებლად შემიძლია

(გაგრძელება გვ.5)

„კოტრიალა ლექსები“

წიგნის დღესთან დაკავშირებით ოზაანის ბიბლიოთეკამ ხელმძღვანელის ქრისტინე კიკილაშვილისა და ოზაანის ბაგა-ბაღის უფროსი ჯგუფის პედაგოგის ქეთევან მეხრიშვილის ინიციატივით ღონისძიება გამართა, რომელიც ბიბლიოთეკაში ახლადმიღებული წიგნებიდან ერთ-ერთი წიგნის პრეზენტაციას ეხებოდა. ღონისძიებაში ბაგა-ბაღის უფროსი ჯგუფის ბავშვები იღებდნენ მონაწილეობას, რომლებიც წიგნის საერთაშორისო დღეს ბარბარა რაიდის წიგნის „კოტრიალა ლექსებით” გამოეხმაურნენ. ლექსები, რომლებიც ბიბლიოთეკაში პატარებმა წარმოთქვეს, მართლაც, სახალისო გახლდათ და ბავშვების ვირტუალურ ცხოვრებას ასახავდა. ეს მათი პირველი ზიარება იყო წიგნის სამყაროში, როდესაც მწერალი თავისი პატარა გონების სამყაროსთან.

წიგნის პრეზენტაციას სახელწოდებით - „კოტრიალა ლექსები”, ესწრებოდნენ ბაღის დირექტორი ლია სუხიტაშვილი.და ბაღის სხვა პედაგოგები. წიგნის პრეზენტაციას უძღვებოდა თავად უფროსი ჯგუფის აღსაზრდელთა პედაგოგი ქეთევან მეხრიშვილი. მონაწილე ბავშვებმა ბექა მეხრიშვილმა, ნიკა მარტყოფლიშვილმა, ხატია თარაშვილმა, ბარბარე ხუციშვილმა, ნიკა გარსენიშვილმა წარმოთქვეს ბარბარა რაიდის ლექსები: „მოციმციმე ვარსკვლავო”, „მერის ბატკანი”, „კალათა”, „ჭიამაია”, „თაგუნა საათზე”, ინსცენირებაში მონაწილეობა მიიღეს აღსაზრდელებმა ელენე და ანდრია მეხრიშვილებმა.

ნიშანდობლივია, რომ ოზაანის ბიბლიოთეკა გამოირჩევა ხშირი ღონისძიებებით და მკითხველის აქტიურ ჩართვაში ლიტერატურულ შეხვედრებში, რის გამოც ვუსურვებთ უამრავ მკითხველს და მრავალი ღონისძიების გამართვას, ხოლო პატარა ვირტუოზებს კარგად სწავლას და ბედნიერ მომავალს.

ლალი მეხრიშვილი

პირველი ნაბიჯები და სწავლის ძირში ჩაგდებული მარცვალი

რამდენიმე დღის წინ ოზაანის საბავშვო ბაგა-ბაღში ღია გაკვეთილები ჩატარდა. ბაღის პედაგოგებმა ქეთევან მეხრიშვილმა და დარეჯან კვინიკაძემ თავისი

აღსაზრდელები ფართო აუდიტორიის წინაშე წარადგინეს და ის ერთი რიგითი მეცადინეობა წარმოგვიდგინეს, რომელსაც ბაღის აღსაზრდელები მათი მეშვეობით სწავლობენ.

პედაგოგმა დარეჯან კვინიკაძემ ქვედა ასაკის ჯგუფის აღსაზრდელებს ვანო ცქიტიშვილს, მარიამ ბოსტოღანაშვილს, თემურ სუხიტაშვილს, გიორგი ბენაშვილს, ბარბარე ოზაშვილს, თორნიკე პაპუაშვილს, მარიამ კორახაშვილს და მათე გარსენიშვილს, თვალსაჩინო მასალის წარმოდგენით შინაური და გარეული ცხოველები და ფრინველები გააცნო, შემდეგ კი კრებითი სახელით მოიხსენია ისინი. ქაღალდებზე დახატული ძროხა, ცხენი, იხვი, ბატი, ქათამი თუ სპილო, პატარებმა ხალისით ამოიცნეს და ისიც განსაზღვრეს თუ რომელი მათგანი რა ჯგუფის ცხოველსა თუ ფრინველს მიეკუთვნება. შემდეგ პატარებმა გადაინაცვლეს მაგიდასთან, სადაც ცხოველთა და ფრინველთა სამყარო იყო სკულპტურებად წარმოდგენილი. პედაგოგი ბავშვებს უსახელებდა ცხოველს ან ფრინველს, ხოლო ბავშვები ხელს კიდებდნენ და აჩვენებდნენ დარეჯან მასწავლებელს თითოეულ მათგანს. ბოლოს, პატარა აღსაზრდელებმა ითამაშეს და მუსიკის პდაგოგის მადონა ცქიტიშვილის მიერ შესრულებული მუსიკის თანხლებით იმღერეს.

საინტერესო აღმოჩნდა ბაგა-ბაღის ზედა ასაკის ჯგუფის აღსაზრდელების ღია გაკვეთილი. აქ ასაკის შესაბამისად პატარები ბევრად მომზადებულები და აქტიურები გახლდნენ. პედაგოგმა ქეთევან მეხრიშვილმა, რომლისთვისაც აღნიშნული ღია გაკვეთილი დებიუტი გახლდათ, სრულიად განსხვავებული თემა წამოსწია წინ და პატარებთან წელიწადის დროებზე ისაუბრა. მან ბავშვებს: დაჩი გარსენიშვილს, ბექა, ანდრია, ელენე მეხრიშვილებს, ხატია თარაშვილს, ნიკა მაჭავარიანს, ნიკა მარტყოფლიშვილს, ანამარია ჩალახეშაშვილს, ბარბარე ხუციშვილს, იოანე და გიორგი სუხიტაშვილებს და საბა ოზაშვილს, ჯერ აუხსნა წელიწადის დროები, ხოლო შემდეგ გამოკითხვის მეთოდით მიიღო მათგან ადეკვატური პასუხები. პატარებმა პედაგოგის კითხვებს უპასუხეს და აღნიშნეს, რომ წელიწადში ოთხი დროა, შემდეგ კი, დაახასიათეს, რომ ზაფხულში ცხელა, გაზაფხულზე ბუნება იღვიძებს და ყვავის, შემოდგომით ხილი მწიფდება და ჩურჩხელებს ავლებენ თათარაში, ხოლო ზამთარში თოვლი მოდის და ცივა. თითოეულ სეზონზე ბავშვებს შესაბამისი ლექსებიც ჰქონდათ მომზადებული, რომლის წარმოთქმას არცერთი მათგანი არ დაზარდა. ქეთევან მასწავლებელმა აღსაზრდელებს დღესასწაულებიც შეახსენა და უკვე ჩამოტოვებული აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულიც გაახსენა. ბავშვებმა ისაუბრეს, რომ მათი სარწმუნოება მართლმადიდებლური ქრისტიანობაა, რომ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით ყველა ოჯახში ანთებენ სანთელს, აცხობენ პასკებს და ღებავენ კვერცხებს. ამ საუბრის შემდეგ ქეთევან მასწავლებელმა პატარებს ახალი მასალა აუხსნა, ეს გახლდათ წინადადების აგებულება. პედაგოგმა ბავშვებს გადასცა, რომ წინადადება შედგება სიტყვებისაგან. პატარა „მოსწავლეები“ ამ გაკვეთილზე მაგიდებთან ისხდნენ, სადაც მათ სამუშაო მაგიდაზე ელაგათ სხვადასხვა ფერის ქარალდის ფიგურები და პატარა ჯიბაკები. პედაგოგი ამბობდა წინადადებებს, ხოლო აღსაზრდელები იმდენ ფიგურას აწყობდნენ ჯიბაკებში, რამდენი სიტყვაც წარმოთქვა მასწავლებელმა. ამ დავალების შესრულების შემდეგ მასწავლევბლის კითხვაზე, თუ რამდენი ფიგურა ჩადეს ბავშვებმა ჯიბაკში, უმალ პასუხობდნენ და იმასაც ხსნიდნენ, თუ რატომ ჩადეს იმ რაოდენობის ფიგურა ჯიბაკში რამდენი სიტყვაც წარმოთქვა პედაგოგმა. შემდეგ უკვე ხსნიდნენ რა ფერის ფიგურები დაალაგეს და რომელი გახლდათ წინადადების პირველი სიტყვა და რომელი წინადადების მეორე ან მესამე სიტყვა. აშკარა იყო, რომ ეს საკმაოდ საინტერესო შემეცნება, წინასასკოლე მოთელვა გახლდათ პატარებისთვის, რომლებიც სექტემბრისთვის სკოლაში წასასვლელად ემზადებიან. კიდევ უფრო სახალისო აღმოჩნდა პედაგოგთან ერთად ბავშვების თამაში, რომელიც ვიცით, რომ სხარტი გონებრივი განვითარებისთვის ყველაზე კარგად მუშაობს ბავშვებში. პედაგოგი ესვრის პატარა ბურთს ბავშვს და ითხოვს დაუსახელოს ბავშმა ცხოველი, ბოსტნეული, ტრანსპორტი ან სხვა რაიმე ასეთი, ბავშვიც უმალ პასუხობს შესაბამის სიტყვას ზებრა, სტაფილო, თვითმფრინავი და სხვა.

ორივე ჯგუფის ღია გაკვეთილს დედოფლისწყაროს სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის ხელმძღვანელი მაია ყოჩიაშვილი, მისი მოადგილე ირმა იაკობიშვილი, ამავე სამსახურის სპეციალისტები ნინო კვიწინაშვილი და ეთერ ათანელიშვილი ესწრებოდნენ. ამ დღეს ბაგა-ბაღის პედკოლექტივი, ოზაანის ბაღის დირექტორის ლია სუხიტაშვილის ხელმძღვანელობითა და ინიციატივით, ასევე მასპინძლობდა რაიონის სხვა სოფლების, კერძოდ არბოშიკის, ზემო მაჩხაანის, გამარჯვების და მირზაანის ბაგა-ბაღების დირექტორებს და პედაგოგებს. დამსწრე საზოგადოებამ დადებითად შეაფასა პედაგოგების მიერ ჩატარებული გაკვეთილები. პედაგოგებმა ასევე დაათვალიერეს ბაღის შიდა ინტერიერი, რომელიც რაიონის სხვა ბაღებთან ერთად ოზაანის ბაღშიც წელს თანამედროვე სტანდარტებით განახლდა და იმ იმედით დაემშვიდობნენ ერთმანეთს, რომ მომავალში კიდევ გაგრძელდება მათი ერთობლივი თანამშრომლობა და კოლეგიალობა.

მართლაც კარგ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი, კოლეგების დამეგობრების და ერთობლივი, საკუთარი გამოცდილებების გაცვლა-გამოცვლის პრინციპის თვალსაზრისით. მისასალმებელია, როდესაც სხვადასხვა სოფლების ბაგა-ბაღების პედაგოგები, ასე, ერთ მუშტად შეკრული ურთიერთობენ და პატივს სცემენ ერთმანეთის შრომას. წარმატებები სოფელ ოზაანის ბაგა- ბაღს, მათ პედაგოგებს, აღსაზრდელებს და მადლობა მათ, იმ ემოციის ჩუქებისთვის, რაც იმ დღით ჩემი მშობლიური სოფლიდან წამოვიღე.

ლალი მეხრიშვილი

მეამაყება, რომ „სიკეთის ნერგმა” იხარა!

(მეოთხე გვერდიდან)

ვთქვა, რომ ყოფილი აღსაზრდელების სიყვარულია, რომელიც მინათებს ცხოვრების გზას, მიცისკროვნებს დარჩენილ წლებს. მეამაყება, რომ იხარა სიკეთის ნერგმა და დღეს ჩვენი სკოლის კედლებში დაფრთიანებული ახალგაზრდები წარმატებულად საქმიანობენ ქვეყნის აღმშენებლობით საქმეში. მადლობა ყველას, აქ დამსწრე საზოგადოებას, რაიონის მუნიციპალიტეტს, მწერალთა კავშირს ჩვენს მიმართ გამოჩენილი ყურადღებისთვის, თბილისიდან მოწვეულ სტუმრებს, რომლებიც ახლა წარსდგებიან თქვენს წინაშე და გვაჩუქებენ ერთ ლამაზ დღეს.“-აღნიშნა ნანა მერაბიშვილმა და მართლაც სცენა საოპერო მომღერლებს დაეთმო, რომლებმაც ეს შესანიშნავი საღამო გაალამაზეს. ისინი თბილისიდან სპეციალურად ჩამობრძანდნენ მუსიკოსის და კონსერვატორიის პედაგოგის დოდო დიასამიძის ხელმძღვანელობით, რომელმაც ქალბატონი ნანა ჭიჭინაძის მოწვევა სიამოვნებით მიიღო და საკუთარი მაგისტრი- სტუდენტებით და ცნობილი სახეებით ესტუმრა ჩვენს რაიონს. მოგეხსენებათ, ჩვენი საზოგადოება მოკლებულია საოპერო არიების მოსმენას და ეს პრეცენდენტი ნამდვილად არ გახლდათ ხელიდან გასაშვები მოვლენა, რათა მოგვესმინა მაღალი დონის მუსიკა. სცენაზე გამოვიდნენ ვოკალისტები და შეასრულეს არიები ნინო ასათიანმა, ნინო ჯაჭვაძემ, ნანი ბრეგვაძის შვილიშვილმა ნატალია ქუთათელაძემ, „იუმორინას“ „ქუჩის მუსიკოსების“ წევრმა მუსიკოსმა მერაბ სამყურაშვილმა, ნინო ლაკვეხელიანმა, ლევან მაკარიძემ. მათ შეგვისრულეს საოპერო არიები კონცერტმეისტერისა და კომპოზიტორის ნანა მიქაბერიძის აკომპანიმენტით. პედაგოგი გახლდათ დოდო დიასამიძე. საღამოს დასასრულს ჩამოსული სტუმრებისგან კიდევ გველოდა სიურპრიზი, სცენა დაიკავეს ანსამბლ „რუსთავის“ ბიჭებმა, რომლებმაც კახური ხალხური სიმღერები შეგვისრულეს, ჰამლეტ გონაშვილის კუთხეში ჰამლეტის საყვარელი სიმღერის „წინწყაროს“ არაჩვეულებრივმა შესრულებამ დედოფლისწყაროელი მაყურებელი აატირა. მთელი ღონისძიების მსვლელობისას გამომსვლელთა მისამართით ტაში და ოვაცია დიდხანს, დიდხანს არ ცხრებოდა, რაც იმის დასტური გახლდათ, რომ ყველაფერი ის, რაც მაღალი გემოვნებით და დიდი სიყვარულით კეთდება შემოქმედის მიერ, მას მაყურებელი სიყვარულს გაათმაგებული ოდენობით უბრუნებს უკან.

მშვენიერმა საღამომ გაგრძელება კაფე-რესტორან „ნიკალაში” საპატიო წევრებისა და სტუმრების მიწვევით ჰპოვა, სადაც მათ მასპინძლობა სპეციალურად მოსკოვიდან ჩამოფრენილმა ნანა მერაბიშვილის ვაჟმა ზურაბ მამუკელაშვილმა გაუწია. ეს დღე იყო ულამაზესი, სიყვარულით და გაზაფხულის ყვავილების სურნელით გაჟღენთილი, რომელიც დიდხანს არ დაავიწყდება დედოფლისწყაროს საზოგადოებას.

ლალი მეხრიშვილი

გვიყვარდეს ერთმანეთი და გვახსოვდეს წარსული

გვიყვარდეს ერთმანეთი, გვახსოვდეს წარსული და მომავალიც უკეთესი იქნება–სწორედ ამ იდეის გარშემო გაერთიანდნენ რაიონის ინტელიგენციის თუ ბიზნესის წარმომადგენლები და ერთი კარგი ქართველის, რაიონის სპორტის მოამაგე და ენთუზიასტი კაცის ელგუჯა თეთვაძის ორგანიზებით საგაზაფხულო შეხვედრა მოუწყეს იმ ადამიანებს, ვინც წლობით იღვაწა, იშრომა და თავისი კვალი დატოვა რაიონის ცხოვრებაში. ბაჩუკი, ვაჟა და დავით გონაშვილების, ნუგზარ ალუღიშვილის, ვანო ნატროშვილის, ვანო ლოლაშვილის, თენგიზ იაკობიშვილის, გიგლა ჯანიაშვილის, ნიკოლოზ ბენიაიძის, გივი ლაზვიაშვილის, ილია გაგაძის, გიორგი ბიკაშვილის სპონსორობით ერთი ლამაზი საღამო გაიმართა რესტორან „ნიკალაში“, სადაც სტუმრად იყვნენ მოწვეულნი როგორც ყოფილი, ისე მოქმედი სპორტსმენები თუ ხელოვნების მუშაკები, პარტიული ფუნქციონერები თუ მედიცინისა და განათლების დარგის მოღვაწენი, რაიონის კოლორიტული პიროვნებები - ზოგადად ისინი, ვინც წარსულში და დღევანდელობაში რაიონის „ამინდს“ ქმნიდნენ და ქმნიან. ღონისძიების ორაგანიზატორებთან ერთად სტუმრებს მასპინძლობდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილი.

და რადგან ეს ინიციატივა სპორტსმენებიდან წამოვიდა და, რადგან ისინი მოწვეულ სტუმართაგან უმრავლესობას წარმოადგენდნენ, ჩვენც მათით დავიწყოთ:

სპორტის მნიშვნელობასა და როლზე ისაუბრა და ჩვენი რაიონის გამოჩენილი სპორტსმენები გაიხსენა ათწლეულების მანძილზე დედოფლისწყაროს სპორტსკოლის ყოფილმა დირექტორმა ელგუჯა თეთვაძემ. განა შეიძლება ქართულმა სპორტმა დაივიწყოს ძიუდოს პაპა ბიძინა მაზიაშვილი, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა შემოიტანა ჭიდაობის ეს სახეობა საქართველოში, გააუმჯობესა მისი ტექნიკა და წლების განმავლობაში ძიუდოს სამმობლოში- იაპონიაში კონსულტანტ - მწვრთნელად იყო მიწვეული. ასევე საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ბესო ჟიჟიაშვილი, საქართველოს ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში და ზემო ქედის სკოლის ყოფილი დირექტორი ნიკალა გოგიშვილი, გიორგი ბოსტაშვილი (კანკარა), მიშა ბექიშვილი, ვასიკო გაროზაშვილი (პოლკოვნიკა) შალვა ლალიაშვილი და სხვები, რომელთა სრულად ჩამოთვლაც შეუძლებელია. უფალმა ნათელი დაუმკვიდროს მათ სულებს.

არანაკლები ამაგი დასდეს ქართულ სპორტს დედოფლისწყაროში აღზრდილმა სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებმა: ანზორ მარტყოფლიშვილმა, რომელიც ევროპის პირველი ჩემპიონი იყო ძიუდოში, ასევე ევროპის სამგზის ჩემპიონმა, ოლიმპიური თამაშების მონაწილემ, ზაზა კედელაშვილმა, მისმა პირველმა მწვრთნელმა და სხვა მრავალი სახელოვანი სპორტსმენის აღმზრდელმა გივი ლაზვიაშვილმა, მრავალი პრესტიჟული შეჯიბრის ოქროს, ვერცხლის თუ ბრინჯაოს მედლების მფლობელმა მწვრთნელებმა დავით გონაშვილმა, ვაჟა მოსულიშვილმა, საერთაშორისო სპორტის ოსტატმა თავისუფალ ჭიდაობაში ოთარ ყაჭაშვილმა, თენგიზ გუმაშვილმა, რომელიც ათეული წლები თავმჯდომარეობდა რაიონის სპორტულ საზოგადოებას და ხელს უწყობდა მის მრავალმხრივ განვითარებას. სხვაც ბევრი შეიძლება დავასახელოთ.

სამედიცინო სფეროს წარმომადგელთაგან ღონისძიებას ესწრებოდნენ გულო პოპიაშვილი, ექიმი-თერაპევტი, საავადმყოფოს ყოფილი მთავარი ექიმი, გამორჩეული თავისი პროფესიონალიზმით, კეთილშობილებით, ადამიანურობით და გულისხმიერებით და ვანო ნატროშვილი, ასევე ნიჭიერი ექიმი და ხელმძღვანელი, რომელიც სწორედ ამ რთულ და ძნელ წლებში ედგა სათავეში ჩვენი რაიონის ჯამთელობის დაცვის სამსახურს. აღსანიშნავია საზოგადოებრივი ჯანდაცვის დირექტორის მარიეტა გონაშვილის, საავადმყოფო – პოლიკლინიკური გაერთიანების დირექტორის ხათუნა ზურიკაშვილის და სანიტარული სამსახურის უფროსის გიორგი პოპიაშვილის შრომა მათ კოლექტივებთან ერთად. ქირურგების გია ბოსტოღანაშვილის, ბელა გოგიბერიძის (პირველი დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქის წოდების მფლობელი), ზინა ძელურის, მედეა კვარაცხელიას, ლენა ალკაცოვას. ნინო წელაურის, ლილი ბეგიაშვილის და სხვა მრავალის, მთელი მედპერსონალის ამაგი ჩვენი მოსახლეობის ჯანმთელობის სამსხურში დაუფასებელია ამ გაუსაძლის პირობებში. არც წასული ექიმები დაუვიწყებიათ: ლეგენდარული ჯანგანი სოსო გონაშვილი, პოლიკლინიკის მთავარი ექიმი ათეული წლებით ლევან ბოსტოღანაშვილი, ქირურგები: განყოფილების გამგე თენგიზ კოდიაშვილი, ბავშვთა ექიმი, სათნო და ყველასათვის საყვარელი მაყვალა გოგოლაშვილი-ნატროშვილი, კოსტია ფილიშვილი, ვალერი ლოხოვი, ილია ქურციკიშვილი, ზემო მაჩხაანელების შეუდარებელი მკურნალი გოგია რობიტაშვილი, არბოშიკლების ია ახობაძე სხვაც მრავალი ამაგის დასაფასებელი ადამიანი.

ბევრი წასული ძალოვანიც მოიგონებს პროკურორ აპოლონ ფორსმანაშვილის, მოსამართლე ალექსანდრე სეფიაშვილის, მილიციის უფროსის ილია ნანობაშვილის, გამომძიებელ ბორის პოპიაშვილის და სხვათა სახით, რომლებმაც თავისი ცოდნა და გამოცდილება ქვეყანაში სამართლიანობის დაცვას შეალიეს. არ დაუკარგეს ღვაწლი ამ დარგში ვაჟა ჯანყარაშვილს, თამაზ თამაზაშვილს, სიამაყით ისაუბრეს ჩვენი რაიონის ყველაზე მაღალჩინოსან და პერსპექტიულ ახალგაზრდაზე, შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრზე და დღევანდელ პრემიერზე ირაკლი ღარიბაშვილზე.

არც გამოჩენილი მშენებლები დაივიწყეს. გაიხსენეს იური ხოსროშვილი, კოტე ლოლაშვილი, მადლოაბა უთხრეს ზურაბ ხოსროშვილს, თენგიზ იაკობიშვილს, გელა ხუციშვილს, ნოდარ შანშიაშვილს რაიონში გაკეთებული ბევრი კარგი საქმისთვის.

პატივი მიაგეს ვაჭრობის დარგის ცნობილ მუშაკებს ოთარ დათუკიშვილს, ჟორა რობიტაშვილს, გურამ ბაღაშვილს, შოთა კვაჭაძეს, თამაზ ბასილაშვილს და სხვებს. შრომა დაუფასეს ტარიელ ღარიბაშვილს, მიხეილ (გუგული) ალადაშვილს, გოგი დავითაშვილს.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით კულტურის როლზე ნელი გობეჯიშვილმა ისაუბარა, რომელმაც სამი ათეული წელი წარმატებულად უწინამძღვრა ამ დარგს. მან გაიხსენა ბევრი ადამიანი, ვინც თავისი დიდი წვლილი შეიტანა ამ საქმეში: სახალხო თეატრის მსახიობების რეზო გონაშვილის, მარო ხარხელის, ალექსანდრე გიგოლაშვილის, მარო მეხრიშვილის, არჩილ ჯავახიშვილის, კარლო გოგაშვილის, ხვთისო დავითაშვილის, ზაურ ჩოხელის, ავთანდილ ბურდულის, ზაურ ელოშვილის, ასლან ჭრელაშვილის, შალვა მენთეშაშვილის და სხვა მრავალთა ღვაწლი, რომელთა ჩამოთვლა შეუძლებელია, იმდენად ფართო და მრავალწახნაგოვანია ეს საქმე. დღესაც კულტურის ბევრი მუშაკი ნამდვილად იმსახურებს დიდ მადლობას ხშირად ენთუზიაზმზე გაწეული მძიმე სამუშაოსთვის. დიდი სიამაყით გაუსვეს ხაზი ჩვენი საამაყო შვილის, მსოფლიო დონის საოპერო მომღერლის ჩვენი ლადო ათანელიშვილის მოღვაწეობას, რომელსაც მსოფლიო ლადო ათანელად იცნობს და იხსენიებს.

დიდი სიყვარულით მრავალი კურიოზული და ანეგდოტად ქცეული ამბავი გაიხსენეს რაიონის ისეთი კოლორიტი პიროვნებების ცხოვრებიდან, როგორებიც იყვნენ: შეუდარებელი და განუმეორებელი დათუნი სინჯიაშვილი, ჟორა ოზაშვილი (გოხიაანთი), გოგი გველუკაშვილი, ამირან ბილიაშვილი, კოლია ჩოლოყაშვილი, მიტო მათეშვილი, „შავრაზმელებად“ წოდებული გურამ სარალიძე, ზურაბ (ცელქო) შოშიაშვილი, ლერი ყაზაროვი და სხვები, რომელთა ცხოვრება ალამაზებდა, ავსებდა, ხალისს და ეშხს მატებდა რაიონს.

სახელმწიფო მოხელეთა რანგში ღონისძიებაზე მოწვეული იყვნენ ლამარა ჭუჭულაშვილი, მარინე მეხრიშვილი და მანანა ყატაშვილი. ნურავინ იფიქრებს, რომ კომუნისტური ნოსტალგია ტანჯავს ვინმეს, მაგრამ უფროსმა თაობებმა ხომ კარგად ვიცით, რომ იმ დროსაც ჰქონდა თავისი დადებითი, რომ შრომა და ქვეყნის სამსხური იყო უპირველესი. სისტემას ნამდვილად ჰქონდა ხარვეზები: როცა კომუნისტური პარტიის რიგებში შესვლა 3.000 მანეთი გახდა, როცა წიგნებს, სუნამოებს,ჩასაცმელსა და დასახურს, მანქანასა და ავეჯს და სხვა მრავალს კომპარტიის რაიკომი ანაწილებდა, როცა პოლიტიკური ლიდერის მატარებელი პარტია ყველა წვრილმანსა თუ მსხვილმანში ერეოდა, ეს დასაგმობი და მიუღებელი იყო, მაგრამ ხომ იყვნენ ადამიანები, რომლებიც თავის კვალს ტოვებდნენ და კარგ საქმეებს ემსახურებოდნენ?! უამრავი სასიკეთო საქმე უკავშირდება რაიკომის მდივნების მიხეილ ციხისთავის, ამირან გონაშვილის, გურამ ლოლაძის, გივი ჭარაქაშვილის, შრომის გმირების: ნიკო მამაიაშვილის, არსენ კობაიძის, ნიკო ყოჩიაშვილის, ვანო ფიროსმანიშვილის, ლეგენდარული კობა ჩოხელის, ვანო ქავთარაძის, ვანო (წყალწყალა) ფიროსმანაშვილის, იოსებ ჯღუთაშვილის, მიშა კობაიძის და სხვათა სახელებს – ქალაქის ცენტრში სტადიონი, უზარმაზარი კულტურის სახლები სოფლებში. უწიგნურობიდან უმაღლეს განათლებამდე მისული მოსახლეობა, განათლების მუშაკთა თავდადება – მარო, ლიზა და მაყვალა ლაპიაშვილების, ნასყიდა ალადაშვილის, ხარლამპი კანიდის, ნელი ტერტეროვას, გიგო ლომაშვილის, ნინო ბოსტოღანაშვილის, მერი ბილიაშვილის, ზინა თარაშვილის და უამრავ პედაგოგ-მასწავლებელთა სახელები დაუვიწყარია მათი აღზრდილების გულებში.

და ბოლოს. ამ ყველასი და ყველაფრის შემფასებელ-დამფასებელი, აღმწერ-აღმნუსხველი ჩვენი მხცოვანი გაზეთი „შირაქი“, რომლის გაყვითლებულ ფურცლებს უამრავი ფაქტი, ამბავი, პორტრეტი აქვს შემონახული. მისი ღვაწლმოსილი ადამიანები აწ განსვენებულნი: გიორგი გოჩიტაშვილი, ვლადიმერ მჭედლიშვილი, ირაკლი მოლოდინი, შემდგომი თაობის ჟურნალისტები- გოდერძი ტოკლიკიშვილი, ვლადიმერ ასლამაზიშვილი, უშანგი წყარუაშვილი, თინა ფავლენიშვილი, კლარა ოზაშვილი, შოთა ბიკაშვილი, მათი ღვაწლის პატივის მისაგებად ღონისძიებას ვესწრებოდით შპს „შირაქის“ დირექტორი ინგა შიოლაშვილი და მე, თქვენი მონა-მორჩილი გაზეთ „შირაქის“ რედაქტორი ნაირა გოგრაშვილი. შხვედრა ცოტა ხნით ადრე შედგა, ვიდრე ჩემი მეუღლე გარდაიცვლებოდა. ამიტომ, ეს დღე ჩემთვის ერთი ლამაზი გაელვება იყო დიდი მწუხარების წინ. და არა მარტო ჩემთვის, ეს დღე არ დაავიწყდება არცერთ მონაწილეს, რადგან წლობით ერთმანეთის უნახავმა ადამიანებმა სიხარული მიანიჭეს ერთმანეთს და გარდასულ დღეთა ტკბილი მოგონებები გააღვიძეს.

შეხვედრაზე რაიონიდან დედაქალაქში გადასულ მოღვაწეთა სახეს წარმოადგენდნენ წითელწყაროს ყველ-კარაქის სათაო ქარხნის ყოფილი დირექტორი, კალიფორნიის მეცნიერების, განათლების, ინდუსტრიის და ხელოვნების საერთაშორისო აკადემიის მოქმედი წევრი, საქართველოს ფაზისის მეცნიერებათა, აკადემიის ნამდვილი წევრი აკადემიკოსი ვახტანგ ქიზიყურაშვილი, რომელსაც ძალიან დიდი და საინტერესო შრომითი ბიოგრაფია აქვს და რომელიც დღეს სხვა მრავალ საქველმოქმედო საქმიანობასთან ერთად საქართველოს პატრიაქის ინიციატივით შექმნილ საპატრიარქოსთან არსებულ მეღვინეობისა და მევენახეობის განვითარების სამეცნიერო ცენტრის თანათავჯდომარის მოვალეობას ასრულებს. აგრეთვე თბილისის ყოფილი ვიცე-მერი, რომელიც ნახევარი წელი თვით მერის მოვალეობას ასრულებდა, ნიჭიერი ორგანიზატორი და ბევრი კარგი თაოსნობის ორგანიზატორი ნუგზარ (ცაცო) რობიტაშვილი. მათ დიდი მადლობა გადაუხადეს ღონისძიების ორგანიზატორებს ასეთი მნიშვნელოვანი დღის მოწყობისათვის და აღნიშნეს, რომ დიდი ხანია, ასეთი სიამოვნება არ მიუღიათ და ბედნიერები და კმაყოფილნი ბრუნდებიან უკან.

მიგვაჩნია, რომ ამ რანგის შეხვედრები პოზიტიურად წაადგება დღევანდელობას, მომავალ თაობას, რათა მათ ისწავლონ ადამიანების და მათი ნაღვაწის დაფასება, რაც ასე მნიშვნელოვანია ყველა თაობისათვის და მომავალი განვითარებისათვის, რადგან „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“.

ნაირა გოგრაშვილი

ტრაგედია ლანჩხუთში – რატომ მოიკლა თავი ორი შვილის დედამ?

„გოგო 15 წლის გათხოვდა, შვილი 8 წელიწადი არ ჰყავდა, ალბათ ამ ხნის განმავლობაში დარდს ატარებდა, თუმცა არ იმჩნევდა, იჯახიც გვერდით ედგა. ცოლ-ქმრის ჩხუბი და აყალ-მაყალი არავის გაუგია.“

ბოლო ხანს ქვეყანაში სუიციდის შემთხვევები საკმაოდ გახშირდა. ფსიქოლოგთა თქმით, პრობლემა მეტად სერიოზულია, რომელსაც მასშტაბური კვლევა სჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული შემთხვევა სუბიექტურია და კონკრეტულად შესასწავლი, ამგვარი შემთხვევების პროვოცირებას ფსიქოლოგიური პრობლემები და მძიმე სოციალური ფონიც უწყობს ხელს.

ამჯერად ტრაგედია ლანჩხუთის მინიციპალიტეტის პატარა სოფელი ქვიანში დატრიალდა, სადაც ახალაგზარდა ქალმა, ორი მცირეწლოვანი შვილის დედამ თავი მოიკლა. მომხდარით შეძრულია ოჯახი, მთელი სოფელი, ამბობენ, რომ 32 წლის ქალს ამის მიზეზი არ ჰქონდა... გარადაცვლილს მშვიდ, მხიარულ და გაწონასწორებულ ადამიანად მიიჩნევდნენ... ყველას ერთი კითხვა აწუხებს - რა მოხდა?! ნათია ამავე სოფელში დაიბადა და გაიზარდა, ხალისით სავსე და მოსიყვარულე გოგონა ცოლად თანასოფლელს 15 წლის გაჰყვა...

ლ. კ; **სოფელ ქვიანის მცხოვრები:**

- ძალიან მიმძიმს მომხდარზე ლაპარაკი, თითქოს ნათიას ლაპარაკი და სიცილი ჩამესმის... გოგო 15 წლის გათხოვდა, შვილი 8 წელიწადი არ ჰყავდა, ალბათ ამ ხნის განმავლობაში დარდს ატარებდა, თუმცა არ იმჩნევდა, იჯახიც გვერდით ედგა. ცოლ-ქმრის ჩხუბი და აყალ-მაყალი არავის გაუგია. პირიქით, რაც ჩვენ ვიცით და გარედან ჩანდა, მუდამ ქმრის გვერდით იყო, ყანაშიც ერთად მუშაობდნენ და ლხინშიც ერთად იყვნენ....დედა-მთილ-მამათილი თბილი და ტკბილი ხალხია, რასაც ვუყურებდით სიამატკბილობა ჰქონდათ ოჯახში. ნათიას ორი ობოლი დარჩა, ერთი 6 წლისაა, მეორე კი - წლისა და 7 თვის...

- ანუ ნათიას შვილები 8-წლიანი უშვილობის შემდეგ შეეძინა?

- დიახ. ნანატრი შვილები ჰყავდა, ულამაზესები. თავადაც და ყველა მის გარშემო, ამ ბავშვებს ისე უფრთხილდებოდა, როგორც მარგალიტებს. საშინელ დღეში არიან ნათიას დედა და ძმები, ვერავინ ხსნის რა უნდა გამხდარიყო ამ ტარგედიის მიზეზი... ისეთი გადარეული დედა იყო, გასაოცარია, რომ შვილების სიყვარულმა მაინც არ ააღებინა ამ საშინელ გადაწყვეტილებაზე ხელი...

- შეუძლებელია თავი ადამიანმა ისე მოიკლას რაიმე პრობლემა არ ჰქონდეს, ნათიას ფარული ფსიქიკური პრობლემები ხომ არ ჰქონდა ან, იქნებ, ნაადრევი ქორწინების ბრალია, - ფსიქოლოგების თქმით, ნაადრევად დაქორწინებულები ოჯახის ტვირთის ვერ უძლებენ...

- ჩვენ ვერაფერს ვატყობდით, ვერც ახლობლები. მისი სიკვდილის დღეს მისი ქმარი და ძმები კარტოფილს თესავდნენ, დაღლილები დაბრუნებულან შინ, მათთან ერთად იყო, სადილი მოუმზადა, ვიდრე აბაზანაში შევიდოდა 15 წუთით ადრე მამამთლის ყავა მოუდუღა თურმე... მერე უთქვამს, - ახლა აბაზანაში შევალ და დავიბანო. რომ დაიგვიანა და არ გამოვიდა, ქმარმა დაუძახა, კარგა ხანს ეძახა თურმე, რომ არ გამოეპასუხა, კარი შეამტვრია... სააბაზანოში შესულებს საშინელის სურათი დახვდათ ქალს თოკი ჩემობა და თავი ჩამოეხრჩო...

მომხდარზე გამოძიება 115-ე - თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით მიმდინარეობს

მონატრება

კაკო (ჯემალი) ყაჭაშვილი

ამბობენ, დროსთან ერთად ტკივილიც ქრებაო, მაგრამ ეს ყველაფერი ტყუილი ყოფილა. ვერაფერი გაანელებს საყვარელი ადამიანის დაკარგვით გამოწვეულ სევდას. პირიქით, ახლა უფრო მეტად გვენატრები, ახლა უფრო მეტად გვაკლიხარ.

უკვე მეორე დაბადების დღეს ვხვდებით უშენოდ. მოვალთ შენს საფლავთან შვილები და შვილიშვილები. აგინთებთ სანთელს, მოვეფერებით ცივი საფლავის ქვას. მეტი აღარაფერი დაგვრჩენია.

არ დაგიწერ ბანალურ სიტყვებს, იმიტომ, რომ შენ ლაპარაკი არ გიყვარდა. უფრო საქმის კაცი იყავი. არასოდეს გვეფერებოდი, მაგრამ საქმით უამრავს გვიკეთებდი, თუმცა გული უზომოდ თბილი და მოსიყვარულე გქონდა.

მშვიდად იძინე! შენ რომ გინდოდა და გაგიხარდებოდა ისეთი შვილიშვილები გეზრდებიან. მათ არასოდეს დაავიწყდებათ მოსიყვარულე კაკო პაპა.

მეუღლე, შენი შვილები და შვილიშვილები.

ვეფხო ლიქოკელი

ჩვენო ვეფხო, ჩემო ძმაო, კიდევ უშენოდ მოვიდა გაზაფხული, ირგვლივ ყველაფერი იღვიძებს, ყვავის და ცოცხლობს.

ძამიკო, 5 მაისს შენი დაბადების დღეა და ახლა თვალები მებინდება, 16 წელი გავიდა, რაც დაგვტოვე. დრო მკურნალიაო, მაგრამ გულიდან დარდი ვერ ამოვიღეთ. ძალიან მინდა, გესმოდეს ჩვენი, გვიყვარხარ და გვენატრები.

მამამ ასევე გვიღალატა და შენთან წამოვიდა, რომ მოგხედოს, ვერ გაუძლო მისმა გულმა. გაურკვევლობაში დატოვე დედა, ჩვენ ვცდილობთ ვანუგეშოთ, გამწარებული დღეები გავუხალისოთ, რათა შვილიშვილებმა გაიხარონ მისით.

„ახლა ჩემს ფიქრებში ისე მომეძალე,
თავში ამივარდა ვეფხო უშენობა,
ისე უცნაურად დაგვჩემფიქრდი,
თითქო გული ითხოვს შენთან ჩახუტებას...“

მსუბუქი ყოფილიყოს, ძამიკო, შენს თბილ გულზე დაყრილი მიწა, შენი და მამას სულები ერთმანეთს იპოვიდნენ და არ მოგაკლდებათ ნათელი. გილოცავთ დაბადების 46 წელს და ვილოცებთ თქვენი სულებისთვის, განისვენეთ იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

დედა - ეთერი ნაროზაული, **ძმა**-მინდია, **და**-ნათია, ძმისშვილები, დისშვილები, **შვილები:** კოგა, ქეთი, დათო და ნანუკა.

ზაზა ზურიკაშვილი

2013 წლის 5 მაისს, აღდგომის დღეს, ელვის სისწრაფით გავრცელდა ხმა შენი გარდაცვალების შესახებ.

სიკვდილზე შემზარავი არაფერი ყოფილა. უსაზღვროდ დიდი ტკივილია იმის შეგრძნება, რომ ამ ქვეყნად აღარ არის კაცი, რომელიც თავის ირგვლივ მხოლოდ სიკეთესა და სიყვარულს აფრქვევდა. ძალიან ძნელი არის უშენობა, ჩემო შვილო. შენ ხომ კარგი მამა იყავი, კარგი პაპა და არაჩვეულებრივი მეგობარი, შენი ოჯახის დიდი ქომაგი.

ჩემო ზაზა, ზაზიკას მძიმე ხვედრი არგუნე, პატარა ბიჭს დააკისრე ამხელა ოჯახზე ზრუნვა, მაგრამ კაცურად უძღვება ყველაფერს. ამას სხვა საფიქრალი აღარ აქვს ოჯახის გარდა. შენ ნაადრევად დაკაცე შენი შვილი. ნეტა განახა შენი ნინი და შვილიშვილები, როგორ დაიზარდნენ. სულ შენს ხსენებაში არიან. ზაზა, ნინის ეხლა სჭირდები, მაგრამ შენ უღალატე.

ჩემო შვილო, ძალიან გვაკლიხარ, ძალიან გვენატრები, უშენოდ ყოფნა გაუსაძლისია, მაგრამ ჩვენ უძლურები ვართ ღმერთის წინაშე.

ზაზა, 5 მაისს გისრულდება ორი წელი, რაც დაგვტოვე და წახვედი.

უფალმა გამყოფოს ნათელში.

შენზე მონატრებული დედა ელიზა.

ვაჟა ბოსტაშვილი



2014 წლის 6 მაისი, გიორგობა. უზომოდ, მწუხარებით განვიცდით შენს უდროოდ წასვლას ამ ქვეყნიდან. მტანჯველია ის სიცარიელე, რასაც შენს გარეშე ცხოვრება ჰქვია. გვენატრები ყველას, ვინც გიცნობდა და უყვარდათ შენი კეთილი გული. ყველა გიყვარდა და ყველას პატივს სცემდი, ამიტომაც ვაჟკაცურად ნაცხოვრები შენი 58 წელი ყველას კარგად ახსოვს.ჩვენ დაგვრჩა შენი მოგონებები, ცრემლი, წმინდა სანთლები. განუზომელი გლოვაა ჩვენს გულებში შენი დაკარგვით გამოწვეული. ხანმოკლე ცხოვრების მიუხედავად დატოვე ნათელი კვალი და უზარმაზარი გაკვეთილი იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ოჯახის მამა, მეუღლე და პაპა.

6 მაისს გარდაცვალებიდან 1 წელი გავა, შენ ჩვენთვის არ მომკვდარხარ, ფიზიკურად წახვედი ჩვენგან. მარად იქნები ჩვენთან კეთილი გულისა და ლამაზი სულის ადამიანი. ვერავითარი დრო ვერ დაგვავიწყებს შენს სახელს, ყოველთვის მოვალთ შენს საფლავთან, ავანთებთ სანთლებს და უფალს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი სული და გინათებდეს გზას სამარადისო სასუფევლისკენ. რაც დრო გავა, მით უფრო მეტად დაგაფასებთ. სამწუხაროდ, ასეთია ჩვენი ყოფა. სიცოცხლეში ვერ ვაფასებთ სათანადოდ, სანამ მას არ დავკარგავთ. შენი მაინდანაც გვამხნევებ და გვაძლევ ძალას გავაგრძელოთ ცხოვრება. იხარონ შენს ფუძეზე შვილებმა და შვილიშვილებმა.

შენი შვილები.

გაზეთ „შირაქის „ ყოფილი რედაქტორი გოდერძი ტოკლიკიშვილი და სტამბის ყოფილი დირექტორი დომენტი გონაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ნაირა გორაშვილს მეუღლის

გოგი პოპიაშვილის

გარდაცვალების გამო.

ეთერ ფიცხელაური, გოდერძი, გია აბულაშვილები, ირმა გარსენიშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ნაირა გორაშვილს, ზურაბ და მაგდა პოპიაშვილებს მეუღლის და მამის

გოგი პოპიაშვილის

გარდაცვალების გამო.

ნაირა გორაშვილი, ზურაბ და მაგდა პოპიაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ მანანა, მერი ალიკა გოგაშვილებს, სოფიკო და მაკა ლაპიაშვილებს დედის და ბებიის

მაყვალა ალადაშვილ-გოგაშვილის

გარდაცვალების გამო.

შვილი ლეილა ლაპიაშვილი, რძალი თამარ თარაშვილი, შვილიშვილები: ეკა ოზაშვილი, ლაშა და ლევან ლაპიაშვილები, შვილთაშვილი ანა ტყაბლაძე, სიძე გიორგი ტყაბლაძე, მძახლები: ციცო და მიხეილ ტყაბლაძეები იუწყებიან

თინა ნასრაშვილ-ლაპიაშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 30 აპრილს, ქ. დედოფლისწყაროში.

ყოფილი თანამშრომლები: ესმა პოპიაშვილი, მედიკო ლაპიაშვილი, ინგა ჯალიაშვილი, თამრიკო ბერიძე თანაგრძნობას და სამძიმარს უცხადებენ ლამარა გონაშვილს შვილის

ხვიჩას

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები: თინა ფავლენიშვილი, ნოდარ ნიკოლაიშვილი, გოჩა ყოჩიაშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ მზია მეურმიშვილს მეუღლის, ვანო და დარინა მენთეშაშვილებს მამის

ვასიკო მენთეშაშვილის

გარდაცვალების გამო.

აცერი და დაიცავი მომავალი თაობა

აცრები იცავს სახიფათო დაავადებისაგან!

-ვაქცინაცია ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლის უძველესი, ეფექტური და სანდო საშუალებაა და ის ყოველწლიურად 3 მილიონი ადამიანის სიცოცხლეს იცავს. მიუხედავად ამისა:

-ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველწლიურად 14 წლამდე ასაკის 12 მილიონამდე ბავშვი იღუპება:

-დაახლოებით 9 მლნ ბავშვი იღუპება ინფექციური დაავადებებისაგან, მათ შორის კი, 3მილიონამდე ბავშვი, იმ ინფექციისაგან, რომელთა პროფილაქტიკისათვის არსებობს ვაქცინა.

რომელი დაავადებების საწინააღმდეგოდ ტარდება აცრები

ბავშვთა გეგმიური იმუნიზაცია ხორციელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კანონისა და პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის შესაბამისად (ჯანდაცვის მინისტრის ბრძანება N183/ნ 25.06. 2010წ). სახელმწიფო უზრუნველყოფს 12 ინფექციის იმუნოპროფილაქტიკას 9 ვაქცინის საშუალებით: BCG (ტუბერკულოზი), HEP B (B ჰეპატიტი), DPT-HIB-HEPB (დიფთერია, ყივანახველა, ტეტანუსი, ჰემოფილუს ინფლუენცა ტიპი B, B ჰეპატიტი) DT (დიფთერია, ტეტანუსი), TD (ტეტანუსი, დიფთერია), OPV (პოლიომიელიტი), MMR (წითურა, წითელა, ყბაყურა), PCV (პნევმოკოკური ინფექცია) და ROTA (როტავირუსული ინფექცია); ბავშვს დროულად და სრულყოფილად უნდა ჩაუტარდეს აცრების კურსი, მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ის დაცული მართვადი ინფექციებისაგან!

– ექიმთან ერთი ვიზიტის დროს რამოდენიმე აცრა ერთროულად კეთდება, ეს ხელს უწყობს კურსის დროულად დამთავრებას, რაც თავის მხრივ ზრდის ვაქცინაციის ეფექტურობას.

– თანამედროვე ვაქცინები უსაფრთხოა, თუმცა ყველას აქვს იმუნიზაციის შემდეგ არასასურველი მოვლენების განვითარების იშვიათი რისკი.

– ეს მოვლენები იმდენად უმნიშვნელოა დაავადებების შედეგად გამოწვეული ჯანმრთელობის მდგომარეობის დარღვევებთან შედარებით, რომ ვაქცინაციის აუცილებლობა და ეფექტურობა უდაოა.

– უნდა გვახსოვდეს, რომ აცრის შემდეგ 1-3 დღის განმავლობაში განვითარებული ტემპერატურის მატება, ზოგადი აგზნებადობა, აცრის ადგილზე შეწითლება და მტკივნეულობა, ორგანიზმის ბუნებრივი რეაქციაა და მის ჯანსაღ იმუნურ სისტემაზე მეტყველებს.

– ასაკობრივად დროულად ჩატარებული ვაქცინაცია ამცირებს აცრის შემდგომი არასასურველი მოვლენების განვითარების ალბათობას.

– აცრის შემდგომ სერიოზული არასასურველი მოვლენების განვითარების შემთხვევაში, მშობელმა დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს ექიმს.

– საქართველოში იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გამოიყენება მხოლოდ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული და სერთიფიცირებული ვაქცინები. ყველა ვაქცინა, მიუხედავად მწარმოებელი ქვეყნისა და ან კომპანიისა, გამოირჩევა მაღალი ეფექტურობისა და უსაფრთხოების მაჩვენებლით. პროგრამული ვაქცინები უფასოა მომხმარებლისთვის, რადგან ამ ვაქცინის ღირებულებას სრულად იფარება სახელმწიფო იმუნიზაციის პროგრამის ფარგლებში.

ვაქცინა	ასაკი
BCG (ტუბერკულოზი)	0-5 დღე
Hep B (ბ ჰეპატიტი)	0–12 სთ
DPT-Hib-HepB (დიფთერია, ყივანახველა, ტეტანუსი, ჰიბ, ბ ჰეპ ბ)	2, 3, 4 თვე
OPV (პოლიომიელიტი),	2, 3, 4, 18 თვე, 5 წელი
ROTA (როტავირუსული ინფექცია);	2, 3 თვე
PCV (პნევმოკოკური ინფექცია) –	2, 3, 12 თვე
MMR (წითურა, წითელა, ყბაყურა),	12 თვე, 5 წელი
DT (დიფთერია, ტეტანუსი),	5 წელი
Td (ტეტანუსი, დიფთერია),	14 წელი

ულოცავენ!

მიხეილ ბახუტაშვილს!

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს თქვენს საყვარელ ოჯახთან ერთად .გისურვებთ ახალ-ახალ წარმატებებს და წინსვლას.

ღმერთის წყალობა არ მოჰკლებოდეს თქვენს ოჯახს.

თქვენზე შეყვარებული ნიკა ჭუჭულაშვილი.

ლილი ქავთარაძეს!

ჩვენი ასოციაციის აქტიურ წევრს, სოფელ არხილოსკალოს კულტურის სახლის ღვაწლმოსილ ფოლკლორისტს ვულოცავთ დაბადების დღეს 2 მაისს- 60 წლისთავს.

საუკეთესო სურვილებით და უღრმესი პატივისცემით
ილია ჭავჭავაძის სახელობის დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის სახელით ინგა შიოლაშვილი, ნაირა გორაშვილი, ვანო ნატროშვილი, ნანა ჭიჭინაძე, ლია ჩოქური და სხვები.

მამუკა და გალინა, გილოცავთ ჯვრისწერისა და ქორწინების ბედნიერ დღეს. გისურვებთ რომ სიყვარულით და სიხარულით გევლოთ ცხოვრების დიდ გზაზე. მსუბუქი იყოს მეუღლეობის მძიმე უღელი და ჯვრისწერის გვირგვინი.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი ამ გზაზე სიარულის დროს.

გიორგი და თამუნა იაკობიშვილები,
მირიან სულხანიშვილი.

მსურველთა საყურადღებოდ!



შაბათს, 9 მაისს "ქართული ოცნება ჯანმრთელი მომავალი" დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერით ატარებს საქველმოქმედო აქციას მოსახლეობის პრევენციული სამედიცინო გამოკვლევების ფარგლებში.

აქციაში მონაწილეობენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც მსურველებს ადგილზე გაუწევენ გასინჯვა-დიაგნოსტირებას.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მთელი დღის განმავლობაში საშუალება ეძლევა გამოკვლევა ჩაიტაროს კვალიფიციური ექიმების თუ პროფესორების მეშვეობით სამედიცინო სფეროს თიქმის ყველა პროფილის მიხედვით.

მათ მოემსახურებიან შემდეგი სპეციალიტები: ქირურგი, ორთოპედი, ტრავმატოლოგი, მეან-გინეკოლოგი, ონკოლოგი, ოფთალმოლოგი, გასტროენტეროლოგი (გასტროფიბროსკოპი), ვენეროლოგი, მამოლოგი, სექსოლოგი, რეპროდუქტოლოგი, ოტორინოლარინგოლოგი, ექოსკოპისტი, ენდოკრინოლოგი, ჰეპატოლოგი, ნევროლოგი, ჰემატოლოგი, კარდიოლოგი, თერაპევტი, პედიატრი. ექიმები მოსახლეობას ჩაუტარებენ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ყველა პრობლემის დიაგნოსტირებას, მიეცემათ შესაბამისი დანიშნულებები და საჭიროების შემთხვევაში გაიგზავნებიან შესაბამის კლინიკებში შემდგომი მკურნალობის კურსის გასავლელად.

პაციენტთა მიღება შედგება დედოფლისწყაროს პოლიკლინის შენობაში, შაბათს, 9 მაისს, დილის 9 საათიდან საღამოს 17 საათამდე.

ელზა ხარაშვილი

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 04.05	სამშაბათი 05.05	ოთხშაბათი 06.05	ხუთშაბათი 07.05	პარასკევი 08.05	შაბათი 09.05	კვირა 10.05
დღე	16 °	14 °	13 °	14 °	11 °	13 °	15 °
ღამე	13 °	12 °	12 °	12 °	10 °	12 °	13 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა გოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქინქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K